



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №040/17¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - გიორგი ჩიკვილაძე

საქმის ფაქტები

განმცხადებელმა კომისიას წარუდგინა საჩივარი, რომლის მიხედვითაც, მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატი ცდილობდა მხარეებს შორის ჩაეშალა მორიგება, მოტყუების გზით დაეკმაყოფილებინა საკუთარი ინტერესები სადავო ქონების ხელში ჩაგდებას, არამართლზომიერად გამოეყენებინა ადვოკატის სტატუსი და მისი კლიენტის ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა საკუთარი, ასევე ის ცდილობდა ფსიქოლოგიური ზეწოლით მოეხდინა კლიენტის ნების ფორმირება, რის გამოც საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის პრინციპები, კერძოდ დამოუკიდებლობის, ნდობისა და კონფიდენციალობის პრინციპები. ადვოკატი აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ მისი თითოეული ქმედება სწორედ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რის გამოც საკუთრებაზე არსებული დავა მან კლიენტის სასარგებლოდ დაასრულა კიდევ საერთო სასამართლოებში, რაშიც მან აიღო ანაზღაურება, მეორე დავაზე კი უსასყიდლოდ მოემსახურა. რაც შეეხება მორიგებას, მოწინააღმდეგე მხარისადმი იყო შეთავაზებული პირობები, თუმცა ისინი ადვოკატის მორიგების პირობებს არ დათანხმდნენ, ამიტომ ის არ შემდგარა. რაც შეეხება სადავო ქონების ქირავნობას, ადვოკატმა დაადასტურა, რომ კლიენტისგან ის მართლაც იქირავა, თუმცა ქირავნობის ფასს ყოველთვის კეთილსინდისიერად უხდიდა.

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და აპეკ-ის 2.1 მუხლების საფუძველებზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული განცხადების ავტორი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს დისციპლინური წარმოების დაწყება. საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატი ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს კლიენტზე და ყველანაირად ცდილობს, რომ კლიენტი დაუპირისპიროს საჩივრის ავტორს, რათა სადავო უძრავი ქონება არ გაიყოს მხარეებს შორის, ვერ იქნება დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი. აღნიშნულ გარემოებაზე პრეტენზია ადვოკატისადმი შეიძლება ჰქონდეს ადვოკატის კლიენტს, ვინაიდან პრეტენზიაში ასახული გარემოებები ეხება უშუალოდ განმცხადებლის პროცესუალური მოწინააღმდეგის უფლებებსა და ინტერესებს. ეთიკის კომისია გამოიკვლევდა საქმეს იმ შემთხვევაში თუ თავად კლიენტი მომართავდა კომისიას საჩივრით, შესაბამისად, განმცხადებელი არ არის უფლებაუნარიანი ადვოკატს პრეტენზია წაუყენოს ზემოაღნიშნული მოტივით. ასევე, საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლეოდა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

დასკვნა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატის მიმართ არ უნდა აღეძრა დისციპლინური დევნა.

¹ <https://gba.ge/pdf/5e4bf1a04611f.pdf/092.18%20kerdzo%20sarekomendacio%2024.07.2019.pdf>